



2405936956073

www.info.court.ge

საქმე № 3/2303-15

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

17.03.2016 წელი

ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - ილონა თოდუა

სხდომის მდივანი - სალომე ბერია

მოსარჩელე - ა (ა)იპ მწვანე ალტერნატივა;

წარმომადგენლები - ნინო გუჯარაიძე, ირმა მახათაძე;

მოპასუხე - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

წარმომადგენლები - გიორგი ლანჩავა, შოთა კუბლაშვილი, ნინო სამადაშვილი;

მოპასუხე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;

წარმომადგენლები - შორენა იოსებიძე, ქეთევან პაპაშვილი;

მესამე პირი - შპს „RMG Gold“;

წარმომადგენელი - თეიმურაზ ოჩიგავა;

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის N21/1556 გადაწყვეტილება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ..

1.2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანება.

1.3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის Nი-142 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხეების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნეს და წარმოდგენილ წერილობით შესაგებლებში მიუთითეს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

3. მესამე პირების პოზიცია

3.1. მესამე პირის წარმომადგენლებმა არ ცნეს სარჩელი და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. ფაქტობრივი გარემოებები

4.1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

4.1.1. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემულ იქნა N2/271 ბრძანება, რომლითაც „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“ მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ეთხოვა საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში „ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N 3/133 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა და ბრძანების რიგითი ნომრის „2042 საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო“ ბრძანების დანართიდან ამოღება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს შპს „RMG Gold“-ის გენერალური დირექტორის სერგეი ეგანოვის სახელზე გაგზავნილ იქნა N12/09/1855 მიმართვა, რომლითაც 12.12.2014წ. N 445/1 მიმართვის პასუხად ეცნობა, რომ „საყდრისი-ყაჩაღიანის“ არქეოლოგიური ობიექტის ნაწილი გათხრილი და სრულად შესწავლილია, მისი შემდგომი კვლევების გაგრძელება შეუძლებელია, რაც დასტურდება არსებული გეოლოგიური დასკვნებით. ობიექტის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით გამოტანილია შესაბამის გადაწყვეტილება, კერძოდ, 12.12.2014 წ. N 2/271 ბრძანებით „საყდრისი-ყაჩაღიანის“ არქეოლოგიურ ობიექტს მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი,

შესაბამისად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან თანხმობა მიეცათ არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) შესახებ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 12 დეკემბრის N2/271 ბრძანება.
- 2014 წლის 12 დეკემბრის N12/09/1855 მიმართვა.

4.1.2. 2014 წლის 23 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელმა დირექტორმა და მოითხოვა შპს „RMG Gold“-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. აღნიშნული მიმართვის პასუხად სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის მიმართვით ეცნობა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია და პასუხი ეცნობება ადრესატს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 23 დეკემბრის N04/09/01-159 მიმართვა.
- 2014 წლის 25 დეკემბრის N 21/1452 მიმართვა.

4.1.3. 2014 წლის 15 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართა შპს „RMG Gold“-მა და საქართველო მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ მე-6¹ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მოითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების განვითარების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობის დაყენება შეზღუდვის პერიოდის გათვალისწინებით გაუგრძელდეთ N0010 ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 21 აპრილამდე, რაც გამოიწვევს მათ სახელზე გაცემული N1002122 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების დასრულების ვადის მითითებული დროით გადავადებას.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 15 დეკემბრის მიმართვა N 449/1

4.1.4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის მიმართვით შპს „RMG Gold“-ს ეცნობა, რომ მათ მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI ABC და N 1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებულია (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული

ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს, აღნიშნულის გათვალისწინებით გარემოს ეროვნული სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სამინისტროს წინაშე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით წარადგინოს შუამდგომლობა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 23 დეკემბრის N21/1376 მიმართვა.

4.1.5. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2014 წლის 29 დეკემბერს მიმართა შპს „RMG Gold“-მა და საქართველო მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ მე-6¹ მუხლზე მითითებით მოითხოვა შეზღუდვის პერიოდის გათვალისწინებით ლიცენზიის გაგრძელება 2021 წლის 21 აპრილამდე X და Y კოორდინატებში არსებულ ფართობზე, სადაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კომპანიას მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ხელი ეშლებოდა და ვერ ახორციელებდა სამთო მოპოვებით სამუშაოებს.

2014 წლის 30 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/1610 მიმართვით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წერილობით მიმართა შპს „RMG Gold“-მა და მოითხოვა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53, N0010, ტიპი VI ABC) ლიცენზიის ნაწილის ვადის გაგრძელება რაზედაც დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 29 დეკემბრის N 469 მიმართვა.
- 2014 წლის 30 დეკემბრის N 21/1610 მიმართვა.

4.1.6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტომ 2014 წლის 30 დეკემბერს მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და აცნობა, რომ სააგენტოს მიმართა შპს „RMG Gold“-მა, რომელმაც მოითხოვა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 N0010, ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება. ასევე ეთხოვა სამინისტროს დასმული საკითხის განხილვა და თანხმობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის წინაშე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის წარდგენა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 30 დეკემბრის N 21/1556 მიმართვა.

4.1.7. 2014 წლის 30 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მიმართა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ეროვნულ სააგენტოს და აცნობა, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 29.12.2014 წ. მიმართა „RMG Gold“-მა და ითხოვა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება X და Y კოორდინატების ფარგლებში (მითითებულია კოორდინატები). მიმართვით ეთხოვა, რომ კომპეტანციის მიხედვით განეხილათ საკითხი და ეცნობებინათ, მოცემული კოორდინატების ფარგლებში ექცეოდა თუ არა „საყდრის-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს“ ფარგლებში. იმავე დღეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში გაგზავნილ იქნა მიმართვა და მოთხოვნილ იქნა მოცემულ საკითხზე პოზიციის დაფიქსირება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის N 08/09/1949 მიმართვით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს ეცნობა, რომ ობიექტს, რომელსაც მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი სააგენტოში არსებული მონაცემების მიხედვით მდებარეობდა წერილზე თანდართული კოორდინატების საზღვრებში და ფაქტიურად სამინისტროს მიერ წარდგენილი კოორდინატების იდენტურია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2014 წლის 30 დეკემბრის N2-03/9107 მიმართვით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს ეცნობა, რომ გარკვეული ტექნიკური პირობების შეთანხმების დაცვის შემთხვევაში დეპარტამენტი არ იყო წინააღმდეგი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შეთანხმებაზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 30 დეკემბრის N 7614 მიმართვა.
- 2014 წლის 30 დეკემბრის N 7615 მიმართვა.
- 2014 წლის 30 დეკემბრის N 08/09/1949 მიმართვა.
- 2014 წლის 30 დეკემბრის N 2-03/9107 მიმართვა.

4.1.8. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2597 დადგენილებით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სასარგებლო წიაღისეული სმოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6¹ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე თანხმობა მიეცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 N0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის 2020 წლის 01 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე X და Y კოორდინატების ფარგლებში: 1). X – 449177 და Y-4581925; 2). X - 449477 და Y – 4581925; 3). X – 449177 და Y – 4581625; 4). X – 449470 და Y – 4581670; 5). X – 449433 და Y – 4581625; S=9.0 ჰა; WGS – 1984.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2597 განკარგულება.

4.1.9. 1996 წლის 30 დეკემბერს გაცემულ იქნა ლიცენზია (სერია 53, ნომერი 0010, ლიცენზიის ტიპი VI ABC) ბოლნის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა მოპოვებაზე. ლიცენზია გაცემულ იქნა შპს „ტრანს-ჯორჯია რესურსს“ სახელზე და სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობამ მოიცვა ბოლნისის, დმანისის და მარნეულის ადმინისტრაციული რაიონები, ხოლო მოქმედების ხანგრძლივობად კი განისაზღვრა 20 წელი - 1994 წლის 07 აპრილიდან 2014 წლის 07 აპრილამდე პერიოდი.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის N13/28 ბრძანებით გაცემულ იქნა ლიცენზია შპს „მაინინგ ინვესტმენტ“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების თაობაზე. ამავე სააგენტოს უფროსის მიერ 2013 წლის 25 თებერვალს გამოცემულ იქნა ბრძანება N 13/137 შპს „მაინინგ ინვესტმენტ“-ზე 21.05.2012 წ. გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1000577 ლიცენზიის ნაწილის (საერთო ფართობი 193,76 ჰა. განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში ბრძანების დანართის შესაბამისად) შპს „Mining Investments Gold“-ზე საკუთრებაში საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2014 წლის 25 ნოემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება შპს „Mining Investments Gold“-ზე 11.04.2014 წ. გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1001539 ლიცენზიაში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 17.11.2014 წ. N B14114955/5 გადაწყვეტილებით შპს „Mining Investments Gold“ შეერწყა რა შპს „RMG Gold“-ს, ამ უკანასკნელს დაევალა შპს „მაინინგ ინვესტმენტ“-ზე სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების მიზნით „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს 2012 წლის 21 მაისის N13/28 ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

2014 წლის 25 ნოემბერს შპს „RMG Gold“-ზე გაცემულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია და ობიექტის ადგილმდებარეობამ მოიცვა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრები, მოსაპოვებელი რესურსის სახეობად განისაზღვრა სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა მოპოვება, ხოლო ლიცენზიის მოქმედების ვადად განისაზღვრა 27 წელი - 01.01.2015 წწ. – 02.01.2042 წწ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 1996 წლის 30 დეკემბრის ლიცენზია.
- 2012 წლის 21 მაისის N13/28 ბრძანება.
- 2013 წლის 25 თებერვლის N13/137 ბრძანება.
- 2014 წლის 25 ნოემბრის N 167/ს ბრძანება.
- 2014 წლის 25 ნოემბრის ლიცენზია.

4.1.10. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს გამოცემულ იქნა N478/ს ბრძანება, რომლითაც შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერის 53, N 0010, ტიპი VI A B C) ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 01 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2597 განკარგულებით „შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“ გათვალისწინებული კოორდინატების ფარგლებში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანება.

4.1.11. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის N21/1556 გადაწყვეტილება (წერილი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N 478/ს ბრძანება 2015 წლის 27 იანვარს ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებულ იქნა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2015 წლის 27 იანვრის N 04/09/01-165 ადმინისტრაციული საჩივარი.

4.1.12. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 2015 წლის 27 თებერვლას გამოცემულ იქნა ბრძანება N ი-142, რომლითაც ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2015 წლის 27 იანვრის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2015 წლის 27 თებერვლის Nი-142 ბრძანება.

4.1.13. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 09 თებერვლის N905 მიმართვით, ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 05.02.2016 წ. N 04.09.01-189 წერილის პასუხად და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად აცნობა, რომ კომპანია შპს „RMG Gold“-ზე გაცემული ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C), რომლის მოქმედების ვადა მოიცავდა 1994 წლის 07 აპრილიდან 2014 წლის 07 აპრილამდე პერიოდს, საყდრისის საბადოს ფარგლებში დამტკიცებული სამთო მინაკუთვნის საერთო

ფართობი შეადგენდა 193,79 ჰა-ს. მოგვიანებით შპს „RMG Gold“-ს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის N 593 განკარგულებით წიაღით სარგებლობის ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2015 წლის 01 იანვრამდე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანებით კი კომპანიას ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 01 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N 2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9,0 ჰექტარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 2016 წლის 09 თებერვლის N905 მიმართვა.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. კანონები , რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილება.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვლევობებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის

შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნული ნორმის დეფინიციის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს აღნიშნულ იმპერტიული-ნორმატიულ მოთხოვნებს და შეიცავდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველა ელემენტს, კერძოდ: სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისა და არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ანუ იგი უნდა აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის N21/1556 გადაწყვეტილება - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის Nი-142 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან.

7.2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება

ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტის თანახმად, ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ „შპს „RMG Gold“-ის მფლობელობაში არსებული N1002122 ლიცენზია წარმოადგენს შპს „Mining Investments Gold“-ისა და „შპს „RMG Gold“-ის შერწყმის საფუძველზე შპს „Mining Investments Gold“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა მოპოვების N1001028 ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შედეგს, რაც ასახულ იქნა კიდევ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 25.11.2014 წ. N167/ს ბრძანებაში.

შპს „RMG Gold“-მა 2014 წლის 15 დეკემბერს N449/1 წერილით მიმართა გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა 1994 წლის 07 აპრილის „ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა -მოპოვებაზე“ გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება. აღნიშნული ლიცენზია გაიცა 1994 წლის 07 აპრილს და ძალაში იყო 2014 წლის 07 აპრილამდე. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. N3/133 ბრძანებით „საყდრისის“ საბადოს სალიცენზიო ფართობში მოქეულ „ყაჩაღიანის“ უნაბს, რომელიც თავის მხრივ მოქცეული იყო „შპს „RMG Gold“-ის ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) ფართობში, მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რის გამოც ლიცენზიატი ვეღარ ახდენდა სალიცენზიო ტერიტორიის მოცემული უბნის დამუშავება გამოყენებას. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 05 ივლისის N03/108 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი 30.03.2006 წ. N3/133 ბრძანება „საყდრისი-ყაჩაღიანის“ ფარგლებში, რითიც ლიცენზიატს მოეხსნა შეზღუდვა წიაღითსარგებლობის უბანზე განხორციელებინა საბადოს დამუშავება. „შპს „RMG Gold“-მა გამოიყენა რა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ მე-6¹ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა, რაზედაც საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 04 აპრილს მიღებულ იქნა N593 განკარგულება, რომლითაც წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2015 წლის 01 იანვრამდე.

სასამართლო მოიხმობს 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებას, რომელიც განსაზღვრავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებს ამ დადგენილების მე-7¹ მუხლის მე-2¹ პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიით დადგენილია მისი ამოქმედების კონკრეტული თარიღი და იგი ჯერ არ დამდგარა, ლიცენზიატის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის გამცემის მიერ, ლიცენზიაში ერთჯერადად შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწევასთან დაკავშირებით.

2014 წლის 23 დეკემბრის წერილით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის N21/1376 წერილით შპს „RMG Gold“-ს 2014 წლის 15 დეკემბრის მოთხოვნაზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის 2021 წლის 21 აპრილამდე გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა, თანახმად საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ მე-7¹ მუხლის მე-2¹ ნაწილისა. გასაჩივრებული აქტით მხარეს განემარტა, რომ N1002122 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ამოქმედების ერთჯერადი გადაწევა უკვე განხორციელებულ იყო და მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დადგენილების მე-6¹ მუხლი ლიცენზიატს აძლევდა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, შპს „RMG Gold“-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევდა ერთი და იმავე ტერიტორიაზე ორი მოქმედი ლიცენზიის არსებობას, რაც არ გამომდინარეობდა მოქმედი კანონმდებლობიდან. აღნიშნული ქმედებით ლიცენზიის მფლობელს ერთის მხრივ შესაძლებლობა მიეცა მის საკუთრებაში არსებული N1002122 სარგებლობის ლიცენზია ამოქმედებულიყო 2015 წლის 01 იანვრიდან, ხოლო მეორეს მხრივ ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) მხოლოდ იმ ფართობზე მოეთხოვა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება, რაც არ დაემთხვეოდა N1002122 სარგებლობის ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიას.

საქმეში არსებული მასალების თანახმად დადგენილია, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს N469 წერილით შპს „RMG Gold“-მა მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა დადგენილების მე-6¹ მუხლის გათვალისწინებული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება, თუმცა ლიცენზიატმა დააზუსტა რა მოთხოვნა, ვადის გაგრძელება მოითხოვა არა მთლიანად ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) წიაღითსარგებლობისათვის განსაზღვრულ ფართობზე, არამედ მის მიერ კონკრეტულად განსაზღვრულ X და Y კოორდინატებში. აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და 2014 წლის 30 დეკემბრის N 21/1556 წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რათა განეხილა ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) ვადის გაგრძელების საკითხი და ეშუამდგომლა საქართველოს მთავრობის წინაშე შპს „RMG Gold“-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“

დებულების მე-6¹ მუხლის თანახმად, ლიცენზიის მოქმედების ვადას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სარგებლობის ლიცენზიის ყველაზე ოპტიმალური ფასით გაცემის მიზნით, ლიცენზიის მამიებლის განცხადების საფუძველზე ან მის გარეშე, განსაზღვრავს ლიცენზიის გამცემი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტოს, სამინისტროს შუამდგომლობით და საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს, გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების ვადა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N2597 დადგენილებით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6¹ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე თანხმობა მიეცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 N0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადის 2020 წლის 01 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე X და Y კოორდინატების ფარგლებში. აღნიშნულის შესაბამისად სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა ბრძანება N478/ს, რომლითაც შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 N0010, ტიპი VI A B C) ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 01 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N 2597 განკარგულებით „ შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53 N0010, ტიპი VI A B C) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე“ გათვალისწინებული კოორდინატების ფარგლებში.

დადგენილია, რომ 30.12.2014 წ. N21/1556 წერილით სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და შპს „RMG Gold“-ის განცხადების საფუძველზე ითხოვა კანონით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებ, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 30.12.2014 წ. N 08/09/1949 წერილით ეცნობა, რომ ლიცენზიატის მიერ განსაზღვრული X და Y კოორდინატების ტერიტორიის და სტატუსმოხსნილი „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს“ ტერიტორიების კოორდინატები იდენტურია. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ასევე მიმართა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ითხოვა მოსაზრების წარდგენა შპს „RMG Gold“-ის მიერ მოთხზილ კოორდინატებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რის პასუხადაც 30.12.2014 წ. N 2-03/9107 წერილით თანხმობა განაცხადა მითითებულ მოთხოვნაზე კონკრეტული პირობების დაცვის გათვალისწინების შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტროს მიერ ჩატარდა რა რა წარმოება და გამოკვლევულ იქნა გარემოებები, მან კანონით დადგენილი წესების დაცვით მიმართა მიმართა საქართველოს მთავრობას და

იმუამდგომლა შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემის შესახებ, რაც ამ უკანასკნელის მიერ 2014 წლის 30 დეკემბერს გამოცემული N2597 განკარგულებით განხორციელდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაცულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, სადავო გადაწყვეტილებაზე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები იყო შესწავლილი და მიღებულ იქნა შესაბამის გადაწყვეტილებები. სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „RMG Gold“-ის განცხადებასთან დაკავშირებით „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6¹ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, 2014 წლის 30 დეკემბერს N 21/1556 წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რათა განეხილა ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) ვადის გაგრძელების საკითხი და იმუამდგომლა საქართველოს მთავრობის წინაშე შპს „RMG Gold“-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, თავის მხრივ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დაეყრდნო კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოსაზრებებს და იმუამდგომლა საქართველოს მთავრობასთან შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული აქტით დაკმაყოფილებულ იქნა.

7.3. სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით. ხსენებული კოდექსის 178.1 მუხლი ადგენს, რომ თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. ამავე საკანონმდებლო აქტის 185-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სადავო აქტების გამოცემისას დაცულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნები, ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და გამოკვლეულ იქნა ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოიტანა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და შესაბამისად არ არსებობს მათი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

7.4. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

სასამართლო განმარტავს, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება განმარტებულია ორჰუსის 1998 წლის კონვენციით - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 9 თებერვალს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება მიეცათ ამ საკითხებზე სარჩელით მიმართონ სასამართლოს. კონვენციის თანახმად, განისაზღვრება ადამიანის სამი ძირითადი ეკოლოგიური უფლება, რომლებიც ყველა სხვა ეკოლოგიური უფლების რეალიზაციის საწინდარია: გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ამ სფეროებში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა.

ორჰუსის 1998 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი

კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება; ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერგია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, “საზოგადოება” ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს, “დაინტერესებული საზოგადოება” ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები. კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ყოველი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ თუ სახელმწიფო ორგანო ხელახლა განიხილავს ან დახვეწს სამოქმედო პირობებს პირველ პარაგრაფში მოცემული საქმიანობისათვის, აგრეთვე მაშინ, როდესაც ეს მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს, წინამდებარე მუხლის მეორე – მეცხრე პარაგრაფის დებულებები შესაბამისი ცვლილებებით. (mutatis mutandis). კონვენციის აღნიშნული მუხლი უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამდენად, სასამართლოს მიერ მითითებული ნორმების მიმოხილვა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გარემოსდაცვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო ხასიათს. თუმცა ამავდროულად საგულისხმოა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დეფინიცია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს, თავის მხრივ კონვენციის პირველი დანართით განსაზღვრულია საქმიანობათა ჩამონათვალი, რომლის მე-16 პუნქტის მიხედვით ზემოაღნიშნულის რეგულაციის ფარგლებში ხვდება მადაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ შპს „RMG Gold“-მა 2014 წლის 29

დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა შეზღუდვის პერიოდის გათვალისწინებით ლიცენზიის გაგრძელება 2020 წლის 21 აპრილამდე დანართში მითითებული X და Y კოორდინატების ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ 30.12.2014 წ. გამოცემულ იქნა N 2597 განკარგულება, რომლითაც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დაევალა შპს „RMG Gold“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53, N0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადი გაგრძელება. განკარგულებაში მითითებულ იქნა X და Y კოორდინატების ფარგლები და ტერიტორიის ფართობი 9,0 ჰა (S=9.0 ჰა). აღნიშნულის გათვალისწინებით 29.12.2014 წ. განცხადებით მოთხოვნილი მითითებული კოორდინატების ფარგლებში არსებულ ტერიტორიის ფართი შეადგენდა 9,0 ჰა და შპს „RMG Gold“-ის მიერაც შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე იქნა მოთხოვნილი ლიცენზიის ვადის გაგრძელება, აღნიშნული გარემოება კი გამორიცხავს ორჰუსის კონვენციის გამოყენებას განსახილველ შემთხვევაში, კერძოდ, ორჰუსის კონვენციის დანართი 1-ის მე-16 პუნქტში მითითებული კრიტერიუმის - მალაროების და კარიერების ფართობის ზედაპირი, გათვალისწინებით მისი რეგულაციის ფარგლებში ხვდება ადგილები სადაც „სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს“. სასამართლო სხოდმაზე მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 09 თებერვლის N905 მიმართვა გაგზავნილი ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივის აღმასრულებელი დირექტორის ნინო გუჯარაიძის სახელზე. აღნიშნული მიმართვით, 05.02.2016 წ. N 04.09.01-189 წერილის პასუხად და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად აცნობა, რომ კომპანია შპს „RMG Gold“-ზე გაცემული ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C), რომლის მოქმედების ვადა მოიცავდა 1994 წლის 07 აპრილიდან 2014 წლის 07 აპრილამდე პერიოდს, საყდრისის საბადოს ფარგლებში დამტკიცებული სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობი შეადგენდა 193,79 ჰა-ს. მოგვიანებით შპს „RMG Gold“-ს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის N 593 განკარგულებით წიაღით სარგებლობის ლიცენზიას მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2015 წლის 01 იანვრამდე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანებით კი კომპანიას ლიცენზიის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2020 წლის 01 იანვრამდე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N 2597 განკარგულებით განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობმა შეადგინა 9,0 ჰექტარი.

გარდა აღნიშნულისა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 23 დეკემბრის N04/09/01-159 მიმართვის პასუხად მოსარჩელეს იმავე წლის 25 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ N21/1452 მიმართვით ეცნობა, რომ შპს „RMG Gold“-ისათვის ლიცენზიის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ჩართულობის საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ

მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის პასუხიც ეცნობება ადრესატს. 2014 წლის 30 დეკემბრის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/1610 მიმართვით ზემოაღნიშნულ მიმართვასთან დაკავშირებით მოსარჩელეს დამატებით ეცნობა, რომ მიმდინარე წლის 29 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს წერილობით მიმართა შპს „RMG Gold“-მა და მოითხოვა მასზე გაცემული წიაღით სარგებლობის (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI A B C) ლიცენზიის ნაწილის ვადის გაგრძელება, რაზედაც დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება (მიმართვას ერთვის დანართი 06 ფურცლად). აღნიშნული გარემოებებს გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ დარღვეულა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მიუხედავად ორპუსის კონვენციის ზემოაღნიშნული დათქმისა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტომ მოსარჩელე მხარეს აცნობა რომ შპს „RMG Gold“-ის მიმართისა და მასზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, ამასთანავე გაუგზავნა არსებული დოკუმენტაცია და მიაწოდა ინფორმაცია, მოსარჩელის მიერ შედგომში მისი სურვილის შესაბამისად ადმინისტრაციულ პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით.

7.5. სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო, ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ხსენებული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეტად მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის

მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა კომპლექსური შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რაიმე შეცდომა და ამის საფუძველზე დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

ამდენად, სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრეთვე ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა ან არარსებობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ანუ მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუმცა სასამართლოს მიაჩნია, რომ მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ უნდა განიმარტოს არასწორად, ისე როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - მოსარჩელის გათავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს.

7.6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს მითითებული ნორმის მოთხოვნათა დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, სადავო აქტი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, დაცულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა - ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის N21/1556 გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის Nი-142 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

8. საპროცესო ხარჯები

სასამართლოს ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელწიფო ბაჟი, რაც მოსარჩელის მიერ გადახდილია დავის საგნის მოცულობის პროპორციულად. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-12 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელი, მოპასუხეების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე შპს „RMG Gold“-I, ადმინისტრაციულ

სამართლებრივი აქტების - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 30 დეკემბრის N21/1556 გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის N478/ს ბრძანებისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 თებერვლის Ni-142 ბრძანების (ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ.თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე

ილონა თოდუა